

1994

მეცნიერული
ბიბლიოთეკა

ს ი ა ნ გ ი

ლენინგრადის აღმოსავლეთით კიდევ ერთი სასიკვდილო მარუფი მოუზადეს გერმანიის არმიებს.
(უცხოეთის პრესიდან)

10/111
1944 წ.
საფი
№ 22



ნახ. ს. ნადარეიშვილისა

კალსგუკეგიუჭაჩან

დნებრის მარცხენა მხარეს გერმანელების მიერ მიუვალ სიმაგრედ გამოცხადებული ადგილები, ფრიცების გვამებით დაიფარა.



1942 წ.

ფრიცებმა დაჰფარეს უკრაინის ნიადაგი



1944 წ.

უკრაინის ნიადაგმა დაჰფარა ფრიცები.

დაკარგული თავების შესახებ

ფინეთის შტაბის უფროსის ბანაკთან მონოკლიანი კორესპონდენტი აიტუზა.

— მათი აღმატებულება არავის ღებულობს, — მოკლედ მოუჭრა მას ადიუტანტმა.

— გადაეცით, რომ მე ტანერის დავალებით ვარ.

ადიუტანტმა ღეზები დააწკარუნა და ფარდებს მიეფარა. ერთი წუთის შემდეგ კვლავ გამოჩნდა, კვლავ ღეზები დააწკარუნა და სამხედრო სალამით მოახსენა:

— გთხოვთ.

მონოკლიანი შევიდა შტაბში. მას მოწყენილი სახით შეეგება ტანჩიკორა მელოტი გენერალი, რომელიც ფართო მაგიდაზე გადაშლილ რუკებს უკირკიტებდა. მან წითელი ფანქარი ხელში შეატრიალა და მექანიკურად მიმართა:

— თქვენ ჰელსინკიდან დაბრუნდით ბატონო ნავაგინენ?

— დიახ, თქვენო აღმატებულება, თვით მათმა აღმატებულებამ ტანერმა დამავალა გამოვიშვა თქვენთან ერთად ტექსტი.

— რა ტექსტი? — მოუსვენრად შეაწყვეტინა გენერალმა.

— ტექსტი იმ განცხადებისა, თუ სახელდობრ როდის აპირებთ რუსების შემოტევის შეჩერებას?

— უცნაური აზრი მოგსვლიათ ღმერთმანი, — განა თვით ბატონმა ტანერმა არ იცის?

— რა იცის?

— ის, რომ ასე კითხვის დაყენება უკვე სისულელეა.

— მკაცრად მსჯელობთ თქვენო აღმატებულება, განა თქვენ არ გქონდათ დავალებული ლენინგრადის აღება?

— მქონდა.

— განა თქვენ არ გვარწმუნებდით — ლენინგრადის აღების საკითხი გადაწყვეტილია?

— გარწმუნებდით, გარწმუნებდით, მერე

რომ გარწმუნებდით? — ნერვიულად მიუგო ტანჩიკორამ.

— მერე ის, რომ ჩვენც ვპირდებოდით ქვეყნიერებას.

— რას პირდებოდით?

— რომ ლენინგრადი არსებითად ჩვენს ხელშია, რომ წითელი არმია გატეხილი გვყავს, რომ ლენინგრადთან ერთად, მთელი ფინეთის ყურე, ლადოგის ტბის გასადევრები და თვით მურმანსკის ტერიტორია მალე შეუერთდება დიდ ფინეთს, უფრო სწორად — ფინეთის ახალ იმპერიასო. ახლა კი...

— ახლა კი, თქვენც მშვენივრად ხედავთ, რომ სისულელეს შეპირებხართ.

— თქვენ უხერხულ მდგომარეობაში აყენებთ ბატონ ტანერს, რიუტის, მთელ ფინეთს.

— რით ვაყენებ უხერხულ მდგომარეობაში?

— მით, რომ თქვენს დაპირებას არ ასრულებთ.

— რა შემოძლიან გავაკეთო?

— უნდა შეაჩეროთ წითელი არმია.

— წარმოიდგინეთ, ძალიან ჯიუტი აღმოჩნდა წითელი არმია, — მწარე ირონიით მიუგო გენერალმა, — ბევრი ვეცადეთ, მეც და, რაც მთავარია, ჩვენი ბატონი ჰიტლერის შტაბიც, ჩვენი არმიებიც მთლიანად, მაგრამ ვერ დავარწმუნეთ წითელი არმია ჩვენს უძლეველობაში. პირიქით კი მოხდა: ამას თქვენ ალბად ვერა გრძნობთ ჰელსინკში.

— ვგრძნობთ. მეტისმეტად ვგრძნობთ თქვენო აღმატებულება.

— საბუთი?

— საბუთად მარტო ისიც კმარა ჰელსინკს რომ ცეცხლისა და ფოლადის ლავას აფრქვევენ საბჭოთა ესკადრილიები.

— მერე, რას შვრება მაშინ ბატონი ტანერი?

— გასაგებია, რასაც იზამს — გარბის თავ-შესაფარში.

ტანჩიკორა გენერალი გაგულსდა.

— თავშესაფარში? თავი აქვს იმ დროს?

— გასაგებია რომ აქვს და თავშესაფარში მიაქვს.

— არა, მე გეკითხებით თავი აქვს, რომ თავი გაართვას უბედურებას?

— მაგას თქვენ უნდა მიხედეთ, არა აქვს.

— აი, საქმეც მაგაშია. არც მე მაქვს დატეხილი უბედურებისათვის თავის გართმევის თავი, აღარც ჩვენს არმიას, აღარც ჩვენს მკარველს — გერმანიის არმიას, — ეს თქვენც უნდა გესმოდეთ პატივცემულო ნავაგინენ.

კორესპონდენტმა უკვე დაუფარავად გამოამჟღავნა სასოწარკვეთილება.

— ძაშ ფაქტიურად ისე გამოდის, რომ დაკარგულად უნდა ჩაითვალოს ის თავები, რომლებიც მეთაურობენ ფინეთს და...

— და დღევანდელ გერმანიასაც.

ნავაგინენმა თმებში იტაცა ხელი ალბად იმის შესამოწმებლად ნამდვილად ჰქონდა თუ არა თავი მხრებზე. მაგრამ მისი და ტანჩიკორა გენერლის პოზა შესცვალა უეცარმა გრგვინვამ. თითქოს ცა ეცემოდა მიწას, მიწა ინგრეოდა და თან მიჰქონდა მოსაუბრეთა სადგომიც. ოთახში ადიუტანტი შემოვიარდა.

— თქვენო აღმატებულება, საბჭოთა ჯარებმა გაარღვიეს ამ ფრონტის უკანასკნელი სიმაგრე. მოწინავე ნაწილები უახლოვდებიან ჩვენს რაიონს.

შტაბში ფაცა-ფუცი ატყდა. ტანჩიკორას გაქცევის მომენტში მუნდირი გადააცვეს, ნავაგინენს მონოკლი დაუფარდა, აქეთ-იქით მიაწყდა, ბოლოს კარები იპოვა და უკან მიუხედავად გავარდა. არტილერიის კანონადაში ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოისმა მისი სიტყვები:

— მაშ ისე გამოდის, რომ დაკარგულად უნდა ჩაითვალოს... თავები...

ნავაგინენის მოსაზრება შემცდარი არ აღმოჩნდა. ტანჩიკორა გენერლის თავთან ერთად მისი თავიც მიემატა დაკარგულ თავებს.

რუსთაველის პროსპექტზე, ქვიან დღეს, ყავარჯენებიანმა კაცმა შემაჩერა.

— ვერ მიცანი?

დავაკვირდი. ჩემი კარგი ნაცნობი, ლეიტენანტი კაკო იდგა ჩემს წინ. როგორ გამოცვლილა, დავაქცეებულა. როგორ შევინს მხარზე ოქროს პაგონები, მკერდზე ორდენები და მედლები.

ორი წელი არ მენახა კაკო. გაზეთებში ხშირად ვხვდებოდი მის სახელს. დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა. მიხაროდა, რომ ასეთმა ახალგაზრდამ დიდ წარმატებებს მიაღწია.

— მომილოცავს გადარჩენა! მომილოცავს წარმატება! წარმომიდგენია, რამდენი რამ გადაგხდა თავს, — ვუთხარი მე და შეხვეულ ფეხს დავაკვირდი.

გამახსენდა გაზეთში აწერილი სურათი კაკოს გამირობისა ტამანთან.

აი, შეტევაზე გადმოვიდნენ გერმანელები. მოჰყავთ „ვეფხვები“. მაგრამ ეკვეთნენ ჩვენი ვეფხვებიც. ჩვენს ვეფხვებს წინ მიუძღვის კაკო. ვაიმართა სასტიკი ბრძოლა. შევიდჯერ გადმოვიდნენ ფრიცები შეტევაზე, შევიდჯერვე უკუაგლო კაკომ. საქმე გართულდა. მაშინ კაკომ ხერხი იხმარა. დაიხია და გზა გაუხსნა მტერს. მტერი ეცა ღია ადგილს. კაკომ გვერდიდან დაუარა, გზა გადაუჭრა და ერთიან განადგურა მტრის რაზმი. ამ გამირობისათვის კაკოს წითელი დროშის ორდენი მისცეს.

ჰოდა შეიძლება ტამანთან მოიტება კაკომ ფეხი? ასეც ვუთხარი გამირს.

— არა, ძმაო, ტამანთან არ მომიტეხია, — მოიღუშა კაკო.

მეტი არ შევეკითხე. რამდენი ბრძოლები გადაუტანია კაცს სტალინგრადთან, კავკასთან, როსტოვთან, ტამანთან, კიევთან... ყველა ბრძოლები რომ ასწერო წიგნი შესდგება. ესეც არ იყოს, ვიცოდი კაკოს ხასიათი: არ უყვარდა თავის თავზე ლაპარაკი.

— მძიმე ჭრილობაა? — შევეკითხე მხოლოდ.

— ძვლის მოტეხილობაა. სამი თვეა ვწევარ. მერე რა დროს, რა დროს! — ბრაზით სთქვა კაკომ. — თითქმის საზღვრამდე მივრეკეთ მტერი.

— რა გაწუხებს, კაკო! — ვუთხარი მე. — შენ ალალი ვალი მოგიხდია სამშობლოს წინაშე. ჭრილობა ვაჟკაცის მშვენებაა.

— ჭრილობა... ჭრილობა რომ იყოს რას ვიტყოდი?

— არაფერი მესმის, — გამიკვირდა მე. — ფეხი შეხვეული, ხელში ყავარჯენები. მორჩები და ისევ წახვალ ფრონტზე.

— ფრონტი აქ ყოფილა, ჩემო ძმაო! — მწარედ გაიცინა კაკომ.

— არაფერი მესმის.

— ვერც მიხვდები. მე აქ მოვიტეხე ფეხი, თბილისში. იმდენ ქარცეცხლს გადავურჩი — ფრონტზე და ფეხი კი აქ მოვიტეხე. აი, დახედე ტროტუარს. როგორ აყრილია სარდაფების ერდოები. ვანის ქუჩებზე ხომ ხურას ძტუკვი... დავალებით ჩამოვედი ფრონტიდან და მივიჩქაროდი. უცებ ფეხი ასეთ ღრეჩოში ჩამივარდა. სამი თვეა ვწევარ. დღეს გამოვედი ჰოსპიტლიდან.

— რა ვუყოთ, შემთხვევაა, — ვცადე დამშვიდება.

— რასაკვირველია, შემთხვევაა, — დამეთანხმა კაკო. — მაგრამ სირცხვილი არაა შუა ქალაქში „მგლის ორმოები“ იყოს? „ნიანგი“ მაინც სადაა? სადაა მისი ჩანგალი?

მე შეეპირდი „ნიანგს“ მოვასხენებ მეთქი.

აჰა, მომიხსენებია კიდევ... თავმა ფეხებზეც უნდა იფიქროს.

კოდორე ძოკაძე

მ დ ვ ა

ახალი საცხოვრებელი

შენიშნა. აქ მიღებული ცნობებით დასტურდება, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე შექმნილ ახალ ვითარებასთან დაკავშირებით ბერლინში „ფიურერის“ უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო ახალი საცხოვრებელი-ქარხანა ახალ-აბაღ სახავე პირობების დასამზადებლად.

მტკიცე მდგომარეობა

პარიზი. ვერობის „ახალი წესრიგის“ სიყვარულმა ისე ღრმად დაიბუღა ფრანგი მოქალაქეების გულში, რომ გერმანიის ხელისუფლებამ ვიშის ყველა ქუჩებში და მოსახლეობაში მოაწყო ტყვიამფრქვევის ბუდეები.

ესე და ღარჩა ნუგუზად

პარაშუტა. კიევის უკანდაბრუნების იმედის დაკარგვასთან დაკავშირებით, გერმანელ სახელდრო წრეებს განზარაბული აქეთ მოაწყონ სამგლოვიარო საღამო ბერლინის ერთერთ საკრებულოში. საღამოზე აღმოსავლეთის ფრონტიდან გაქცეული გენერალი არტურ ფონ-ნაიკემბერგი წაიკითხავს თავის წიგნებსას გერმანელთა კიევში ბატონობის შესახებ.

სამგლოვიარო პანაშვიდი

შენიშნა. ბერლინის მმართველ წრეებში მიღებულ გადაწყვეტილების მიხედვით ა/წ. 27 მაისს გერმანიის სახაზო გემის „ბისმარკის“ ჩაძირვიდან სამი წლის და „შარნჰორსტის“ დაღუპვიდან 6 თვის შესრულების გამო ბერლის საკათედრო ტაძარში გადახდილი იქნება სამგლოვიარო პანაშვიდი გერმანიის „უძლეველი“ ფლოტის სულის მოსახსენებლად.



— „ფიურერის“ სურათმა ბუქარესტის სტუდენტობაზე მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

— მოეწონათ?


— არა! ლექციის დროს კედლიდან ჩამოვარდა და ნამსხვრევებად იქცა.

იძულებული

ავსტრიაში გერმანელმა ფაშისტებმა გამოაცხადეს, რომ მოსახლეობა ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. ეს ღონისძიება ტარდება მცხოვრებთათვის ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის ჩამორთმევის მიზნით.

გაზეთებიდან

ნახ. ღონისა



მისტაკოპალი — რატომ მოსულხარ შიშველი? ჩვენ ხომ რეგისტრაციაზე დავიბარეთ.

მტკალაძე — სამწუხაროდ იძულებული ვარ თვითონ გავითვალიწინო ამ „რეგისტრაციის“ შედეგი.

ნიანგის დეპსიკონი

„რაც გინა“ ავს ველარ ნახაგ“. — ცნობილ ქართველი კომედიოგრაფის აქვს. ცაგარლის კომედიის სახელია. მოხდენილი ფრაზაა, რომელიც ზედგამოჭრილია კიევიდან გაქცეულ ფრიცებისათვის.


„შარნჰორსტი“. — გერმანელების სახაზო გემი. პიტლერ-დენიციის უკანასკნელი ნუგეში ატლანტის და ყინულოვან ოკეანეში. სამუდამოდ ჩაყვინთა ნორდბაის კონცხთან დეკემბრის ბოლო რიცხვებში, 1943 წელს.

ზამთარი. — წელიწადის დრო, რომელიც გერმანელ ინტერვენტებს მუდამ ღალატობდა. უკანასკნელ წლებში მას ბაძავს გაზაფხულიც, ზაფხულიც და შემოდგომაც.

ცეცხლი. — საშიში სტიქიაა და მასთან თამაში მუდამ სახიფათოა. არსებობს ცეცხლის სხვადასხვა სახეები. ერთერთი მათგანი ომის ცეცხლია. გერმანელი ფაშისტები ახალ მსოფლიო ომის დასაწყისში მითხლებს ითბობდნენ. უკანასკნელ წლებში კი ფეხებსაც ითბობენ ფრონტიდან გაქცევის დროს.

ნამდვილი მიზანი

„გერმანიის ანკარის ხელჩოხ წევრმა ფერმერმა დასტოვა თავისი ხელჩოხი, გასწვრივა მასთან კავშირი და სირიაში წავიდა“.
 „თურქეთში მყოფ გერმანელთა ხაიდუმლო სამსახურის ხამმა თანამშრომელმა, რომელიც უკან, გერმანიაში იყვნენ გაწვეულნი, გაწვეულებიდან მიატოვეს სამსახური და მიემალნენ“.



ჰიტლერმა გიჟურად ააბრაღა თვალეზი, მაგიდას მუშტი დაჰკრა და შირისხანედ შეეკითხა მის წინაშე მდგომ რიბენტროპსა და ჰიმლერს:

— ჩვენი ხელჩოხს წევრი ანკარაში, ჰაპენის ნათესავი ფერმერნი და ჩვენი საიდუმლო სამსახურის ანკარელი აგენტები მართლა უარს ამბობენ უკან დაბრუნებაზე? მართლა აღარ დაბრუნდებიან?

— მ... მართალია! — წაილულულეს ერთად რიბენტროპმა და ჰიმლერმა.

— რა მიზეზია?

— არ ვიცი! — აკანკალებული ხმით უბასუხეს მათ, — ჩვენ არაფერი გვიწყენებია მათთვის... არ ვიცი...

— როგორ თუ არ იცი?! — ჰიტლერმა კიდევ დაჰკრა მუშტი მაგიდას.

ამ დროს მეკარემ, რომელიც ყველაფერ ამას უფრო უგდებდა, კარები ოდნავ შეაღო, თავი კაბინეტში შეჰყო და მოახსენა:

— ბატონო ფიურერ, მე ვიცი ნამდვილი მიზეზი და თუ ნებას მომცემთ, მოგახსენებთ.

მეკარის ასეთმა გამბედაობამ განცვიფრება გამოიწვია. უხერხულ მდგომარეობაში მყოფ რიბენტროპსა და ჰიმლერს ოდნავ გულზე მოეშვათ. ჰიტლერი ერთხანს ყოყმანობდა, შემდეგ მკვახედ უთხრა მეკარეს:

— შემოდი!

მეკარე შევიდა და დაიწყო:

— დიდებულო ფიურერო! იყო ერთი ურის ქალი სახელად სარა. მისი ქმარი ფეხზე ვაჭრობდა. დადიოდა, ატყუილებდა მუშტრებს, მონაგები შინ მოჰქონდა, სარა არხეინად ცხოვრობდა. ერთ დღეს სარას ქმარი სადღაც გაჰქრა. სარა ელოდა ერთი დღე, ორი, სამი, მაგრამ ქმარი არსად სჩანდა.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა სარამ თავის მეზობელ შალომს დაუძახა, ფული მისცა და უთხრა:

(„კროკოდილიდან“)

— ეს ფული ჩვენს რაბინს გადაეცემა, სთხოვე ილოცოს და მითხრას დაბრუნდება თუ არა ჩემი ქმარი!

შალომი როცა დაბრუნდა, სარას ასეთი ამბავი მოუტანა:

— რაბინმა ფული სიამოვნებით მიიღო, ილოცა და შემოგივალა, ნუ სწუხარ, შენი ქმარი მალე დაბრუნდება.

გავიდა კვირები, სარას ქმარი არ დაბრუნდა.

სარამ ისევ დაუძახა შალომს, ისევ გაატანა ფული რაბინთან და დააბარა, ილოცოს რაბინმა და გაიგოს ღეთისაგან როდის დაბრუნდება ჩემი ქმარი.

შალომი წავიდა რაბინთან და დაბრუნებულმა ისევ წინანდებური პასუხი მოუტანა:

— რაბინმა ფული სიამოვნებით მიიღო, ილოცა და შემოგივალა, რომ ნუ სწუხარ, შენი ქმარი მალე დაბრუნდება.

გავიდა თვეები, მაგრამ სარას ქმარი არსად სჩანდა.

სარამ ისევ გააზავა შალომი რაბინთან. შალომი როცა შესამეჯერ დაბრუნდა, სარას უთხრა:

— რაბინი ახლაც ამბობს, რომ შენი ქმარი დაბრუნდებაო, მაგრამ მე ნამდვილად ვიცი, რომ არ დაბრუნდება.

— როგორ, — გაკაპასებით შესძახა სარამ, — შენ უფრო ნასწავლი და ჭკვიანი ხარ, ვიდრე რაბინი? შენ უფრო იცი, ვიდრე რაბინმა?

— რაბინი შეიძლება უფრო სწავლული იყოს, მაგრამ საქმის ვითარება მე უფრო კარგად ვიცი და გეუბნები, რომ არ დაბრუნდება.

— მაინც რა იცი? — შეეკითხა სარა.

— რაბინს შენ არ უნახავხარ, მან არ იცის თუ როგორი კაპასი და გონჯი ხარ, მე კი შენ კარგად ვიცი და ვიცი, რაკი იმ კაცმა შენ თავი დაგაღწია, აწი აღარ მოისურვებს შენთან დაბრუნებას.

— ასეა აქაც, ბატონო ფიურერ, ფერმერნი და სხვები თქვენ და თქვენს წესწყობილებას ხომ კარგად იცნობენ..

რიბენტროპი და ჰიმლერი შიშით აცახცახდნენ ჰიტლერის გიჟური რისხვის მოლოდინში, მაგრამ ჰიტლერს ზედმეტი ბრაზისაგან ენა ჩაუვარდა და ხის ამოღება ვეღარ შესძლო.

მურმანი

უაზისჯარ მასკაპაღვა

ბერლინის ერთერთ დიდ სამხედრო დარბაზში სააბაღლო ღრეობა იყო მოწყობილი ბალ-მასკარადის სახით. აქ იყო ფაშისტური საზოგადოების უმაღლესი არისტოკრატია — სამოქალაქო და სამხედრო. საღამოს ადმინისტრაციის წინასწარ ჰქონდა გამოცხადებული, რომ ყველა მონაწილე ვალდებული იყო მოსულიყო მასკარაზე თავისებური ჩაცმულობით და ნიღბებით. თითქმის ყველა მონაწილე მოსული იყო ამ საღამოზე და ღრეობაც უნდა დაწყებულიყო, რომ ამ დროს ერთმა ნიღბიანმა გენერალმა გაბრაზებით უთხრა თავის ამხანაგს, მეორე ნიღბიანს — ხედავ? ვილაც მხეცი და იფიოტი ფიურერის ნიღბით და ტანისამოსით მოსულა, როგორ ბედავს ამას, უნდა გავაგდოთ აქედან!

— არ გაბედო — უბასუხა მეორემ — ეს თვით ფიურერია, მარტო მას აქვს უფლება უნიღბოდ მოვიდეს მასკარაზე.

დონ-პედრო

ნაზ. ო. განფისა



ჰიტლერი იზომებდა სხვადასხვა კოსტუმებს. პირველად მას მოეწონა ფრიდრიხ დიდის მუნდირი.

— არაფერი მესმის, — სთქვა მან, — რატომ უძახოდნენ ამ კაცს დიდს, როცა მისი კოსტუმი ძლიერებში მიჭერს? — არა, არ მიხდება მე ეს კოსტუმი.



ჩაიცვა ჰიტლერმა ნაპოლეონის კოსტუმი. ჩაიხედა სარკეში და სთქვა: „ეშმაკმა იცის, რანაირ ტანსაცმელს ჰქვრავდნენ წინა ხაუკუნეში სრულებით ჩემს ზომაზე არ არის გამოჭრილი. არა, მე ნაპოლეონი არა ვარ, ახწიე უფრო მაღლა!“



და ჰიტლერმა ჩაიცვა შთავარსარდლის ტანსაცმელი. მაგრამ მაშინვე იგრძნო, რომ ტანსაცმელს ხეჭვო ხარჩული ედო და უმაღლეს იხედა ნაკერზე. ჩაუჭირდა ჰიტლერი რანაირ ტანსაცმელში გამოეწყოს?



და ვიდრე ის ფიქრობს, მისთვის უკვე გამოანახულია კოსტუმი — უბრალო, ხანერხი და პირდაპირ ზედგამოჭრილი.

ნახ. ე. მაყაშვილისა

ნახ. ე. მაყაშვილისა

ბერლინის ცირკში ტარდება დოქტორ შუკის გასტროლოგი, რომელიც აფიშების ცნობის მიხედვით — ერთი შეხედვითვე ახერხებს მოქალაქის აზრების გამოცნობას.



— ათი დღეა შინიდან არ გამოვლივარ. მეშინია, რომ სადმე წავაწყდე იმ ვიღაცა შუკებს მაშინვე კონცხანაკისაკენ გამაქანებენ.

შეუსრულებელი ბიძანება (ნამდვილი ამბავიდან)

ეს შემთხვევა ამ რამდენიმე თვის წინად მოხდა ზნეგრეთის ერთერთ ქალაქში. სამხედრო მნიშვნელობის გიგანტი ქარხნის მუშაობა უცბად შეწყდა და ქარხანაში აუწყრელი პანიკა გაიშალა. დირექტორის განკარგულებით რამდენიმე ათასი მუშა-მოსამსახურე სტოვებდა სამუშაოებს და ქარხნიდან გარბოდა. ასე მოიქცნენ ქარხნის ახლომახლო მცხოვრებლებიც, რომლებმაც დატოვეს თავიანთი ბინები და თავი შეაფარეს სხვის ოჯახებს.

ქარხანა და მისი მიდამო დაცარიელდა. დირექტორი, მისი მოადგილე და კიდევ რამდენიმე მისი თანამშრომელი ქარხნიდან საკმაოდ მოშორებით სამშვიდობო ადგილას დაბანაკებულიყვნენ და მოელოდნენ ქარხნის შენობის აფეთქებას. დირექტორს აკანკალებულ ხელში საათი ეჭირა და წუთებს ითვლიდა.

— კიდევ ორი წუთი და ჩვენი ქარხნის შენობიდან არაფერი დარჩება გარდა ნანგრევებისა. — მწარედ ჩაიღრღინა მან და თავის თანამშრომლებს გადახედა, რომლებიც მას წიწილებივით შემოხვეოდნენ, ქალები ქვითინებდნენ და შიშისაგან ცახცახებდნენ.

გავიდა ორი წუთიც. დირექტორმა თვალები დახუჭა და ყურები თითებით დაიკო, რომ არ გაეგონა სახარველი აფეთქების გრუხუნი.

გავიდა კიდევ ორი წუთი, შემდეგ ათი, ოცი. ნახევარი საათი. ერთი საათიც და ქარხანა, რომელსაც ისინი შორიდან უტყეოდნენ, ისევ ძველებურად იდგა.

— ბიჭოს, მგონი იმედი გაუტყუვდათ. არაფერი გამოუვიდათ! — მზიარულად წამოიძახა დირექტორმა. — ალბად ცუდი ბომბები გამოაღება. — ამბობდნენ სხვები.

რამდენიმე საათის შემდეგ ქარხანაში თანდათან ბრუნდებოდნენ მუშა-მოსამსახურენი. მუშაობა კი იმ დღეს არ განახლებულა.

ქალაქის გესტაპოს უფროსის კაბინეტში, ამ შემთხვევის გამო, საიდუმლო პოლიციის აგენტებსა და გესტაპოელებს თავი მოეყარათ და დამნაშავეთა წინააღმდეგ ზომებს სახადდნენ.

გესტაპოს უფროსსა და ქარხნის დირექტორს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— ნუ თუ ჩემი ხმა მაინც ვერ იცანით? — შეეკითხა გესტაპოს უფროსი დირექტორს.

— რას ბრძანებთ, როგორ არ ვიცანი, სწორედ თქვენი ხმა იყო. თქვენ გამაფრთხილებთ, — დაუყოვნებლივ მიძღო ზომები, მუშაობა შემეწყვიტა და მუშები ზიფათისაგან გადაიმერჩინა.

გესტაპოს უფროსმა არ იცოდა რა ექნა. ქარხნის დირექტორის სახით მას საქმე ჰქონდა ცნობილ პიტლერულთან. გაბრაზებულმა თავის ხელკეცილებს უბრძანა მოეძებნათ დამნაშავე, თუმცა კარგად იცოდა, რომ მისი ბრძანება შეუსრულებელი დარჩებოდა, რადგან ამ საიდუმლოების გახსნა მხოლოდ ტელეფონს შეეძლო, ტელეფონები კი ასეთ უნარს მოკლებული არიან.

გესტაპოს უფროსმა კარგად იცოდა, რომ ეს საქმე ანტიიტლერული ხელიდან გამოითიდა და გარკვეული მიზნით იყო მოწყობილი, რომ სამხედრო ხასიათის გიგანტური მანქანის მუშაობა ნორმალურ კალაპოტოდან ამოეგდო.

ყუმბარა



— ლენინგრადის ფრონტიდან გამოქცევის შემდეგ ჩვენმა ნაწილებმა ახალ გამაგრებულ ადგილამდე მიაღწიეს. — სულ ერთია, თუ გავითვალისწინებთ წითელ არმიასთან ბრძოლის გაკვეთილებს, ამ მიღწევით მაინც არ ღავკმაყოფილებით.

ამხანაგო ნიანგო!

რუსხაძის მომხიჩნეობა

ამხანაგო ნიანგო! საჭიროდ მიმაჩნია გაგაცნო შებარი ხერხი მომპირნეობისა.

ვთქვათ, შენ ორთქლმავლის მემანქანე ხარ და გინდა საწვავი მასალა დაზოგო. ამ შემთხვევაში უნდა მოიქცე ასე:

შენს ორთქლმავალს რეზერვუარში უნდა ჩახედო, როცა ნახავ, რომ იქ მახუთი იმდენი არ არის, რაც დასჭირდება შენთვის მოცემული მარშრუტის გარბენას, უნდა განუხადო დეპოს უფროსს:

— ამხანაგო უფროსო. მე ვზოგავ ას კილოგრამ მახუთს.

— როგორ? — შეგეკითხება უფროსი.

— ისე, რომ ჩემი ორთქლმავალი ისე გაირბენს თქვენს მიერ მოცემულ მარშრუტს, რომ ამ გზაზე ერთ წუთზე ზედმეტ მახუთს არ დასწვავს.

— მართლა? — ყოჩაღ, პრემიას დაიმსახურებ.

— დავიმსახურებ და ქვე მივიღებ, და თქვენ უნარს არ მეტყვი.

— უნარს რატომ მეტყვი, შენ გამეზავრე და პრემია ჩვენზე იყო.

ამ დიალოგის შემდეგ შენ ამაყად მოაჯღებ ორთქლმავალს და გასწვებ. რასაკვირველია, ორთქლმავალი შუაგზაში გაჩივრდება. მაშინ შენ გამოითხოვ დამხმარე ორთქლმავალს, რომელიც შენს ორთქლმავლიანად დეპოში დაგაბრუნებს. იქ უფროსი გეტყვის: — ესაა ცმადწილო, შენი პირობა? ორასი კილოგრამი მახუთი გადაიხარჯა შენი მიზეზით.

შენ მიუგებ:

— არ ხარ სწორი ამხანაგო უფროსო, მე პირობა პირნათლად შევასრულე: ჩემს ორთქლმავალს ამ მარშრუტზე არც ერთი წუთი არ დაუხარჯავს.

— კი მაგრამ დამხმარე ორთქლმავალი ხომ მოგაშველეთ.

— მომაშველეთ.

— ხომ დაიწვა მახუთი?

— დაიწვა.

— ეს ხომ არის გადახარჯვა?

— არის.

— ვინ გადახარჯა?

— ვინ და იმ დამხმარე ორთქლმავლის მემანქანემ, რომელიც ჩემთან გამოგზავნეთ, მე კი...ერთი სიტყვით, მე მომპირნეობისათვის გთხოვთ მომცეთ შეპირებული პრემია.

აი, ასეთი ხერხით სცადა „მომპირნეობის გაცეობა“ სამტრედიის დეპოს მემანქანემ შ. რუხაძემ და, როგორც ხედავ, შედეგიც არის.

თუ რა შედეგი იმოქმედა ამ შედეგს, ალბად გამოარკვევ ანხ. ნიანგო!

პორგრაფები

კეკელა და კუკუნია

უყვარს, უფლის, ეფერება კეკელა თვის პატარას, ათი წელი კუკუნია „ხელის გულით“ ატარა. მშობლიური სიყვარული განა ვინმემ დაჭრაბოს, ვინ გამოთქვას დღეს გრძნობა, — სიტყვით, კალმით ასახოს? მაგრამ, მაინც ერთ საქმეში გვესურს კეკელა ვამბილოთ, საყვედურიც გვინდა ვუთხრათ, თანაც გვესურს გავაფრთხილოთ:



კუკუნია ცუდად სწავლობს. — პრანკიობას უნდება, — დედას ბაძავს, დღეში ორჯერ მოიკაზმ-მოორთვება. თეატრებში, კინოებში დადის ყოველდღე თითქმის, — ისეთი აქვს ყოფა-ქცევა, რაც საჯაროდ არ ითქმის. კეკელა თავს იქებს, — ამბობს: „იშვითი ვარ დედა!“ ეს მიტომ რომ? ბავშვის სულში ერთხელ არ ჩაუნდება. მაგრამ დედა ამბიარი, ჩვენ არ უნდა ვინატროთ, ასეთ დედებს ნორჩ თაობის აღზრდა როგორ მივანდოთ!



ყალბით ხელში დღეღალამ შრომობს ბინძური არსება,—
ხატავს ბანდიტს და ჰგონია, იესოს დაემსგავსება.

სარედაქციო კოლეჯია.

Тбилиси. Сатирико—юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 8-10-49

ხელმოწერილია დასაბეჭდათ 1944 წ. 28/II ათწ. ლ. 3. ბერიას საბ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. გამომც. № 9 მექ. № 115 . გუ 00069